საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #17

2023წ. 26 იანვარი 13.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ნ.რუხაძე,
ბ.ჯიმელი სულაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია, ქ. თბილისის მერიის სსპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წლიური ანგარიში
2. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუს N33, კორპუს N34, კორპუს N35, კორპუს N36 და კორპუს N37-თან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ (N 12-0323011109-03 11.01.2023წ.)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი (N:12-0323020130-03 23.01.2023წ.)
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (N 12-032302539-03 25.01.2023წ.)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ (N 12-0323025181-03 25.01.2023წ)
6. დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, კომპანიების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (N 12-03230261-03 26.01.2023წ)

1. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ კომისიის წევრებს სამსახურის წლიური ანგარიში წარუდგინა (ანგარიშის პრეზენტაცია სხდომის ოქმს თან ერთვის).

2. მოისმინეს:

ქ. თბილისის მერიის სსპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33, კორპუსი N34, კორპუსი N35, კორპუსი N36 და კორპუსი N37-თან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები

ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონების გამგეობების მიერ სხვადასხვა წლებში მიღებულია გადაწყვეტილებები (შემდგომში - „გადაწყვეტილებები"), რომელთა მიხედვითაც, ფიზიკურ პირებს გამოეყოთ ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონში მდებარე კორპუსი N33 კორპუსი N34, კორპუსი N35 კორპუსი N36 და კორპუსი N37 შემდგომში - „წითელი აგურების კორპუსები" აშენებული/ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები.

აღნიშნული პირების ნაწილს ფართები გამოეყო იმ გარემოების გამო, რომ გადაწყვეტილებების გამოცემამდე მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი კორპუსები ექვემდებარებოდა დანგრევას, ნაწილს კი გამოეყო საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით. წითელი აგურების კორპუსები იყო მშენებარე და აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღებისთანავე ვერ მოხერხდა გამოყოფილი ფართების ფიზიკური პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო, მშენებლობის დასრულებამდე, დროთა განმავლობაში, ხსენებულ კორპუსებში თვითნებურად შესახლდნენ ფიზიკური პირები, რომლებმაც დაიკავეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებში გათვალისწინებული ფართები. ასევე, მოახდინეს ფართების ნაწილის დემონტაჟი ან/და სხვა ფართებთან გაერთიანება. მიუხედავად საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული საკუთრების უფლებისა, აღნიშნული პირები მაინც ვერ ახერხებენ კუთვნილი ფართების ფლობას თვითნებურად შესახლებული პირების მიერ ხელის შეშლის გამო და ილახება მათი, როგორც მესაკუთრეების კანონიერი ინტერესები. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების რეგისტრაციის პრობლემა არსებობს როგორც გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პირებისთვის, ასევე იმ პირებისთვისაც, ვინც წლების განმავლობაში ფაქტობრივად ფლობს აღნიშნულ ფართებს და ცხოვრობს წითელი აგურების კორპუსებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს კანონით დადგენილი ფორმით იმ პირთათვის საკუთრების უფლების გადაცემა, ვინც წლების განმავლობაში ფლობს კონკრეტულ ფართს და რაიმე მიზეზის გამო ვერ ახდენს აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლების

მოპოვებას. მუნიციპალიტეტის მიზანია გადაწყვიტოს როგორც ზემოაღნიშნული უფლების დამდგენ დოკუმენტებში მითითებული პირების საკუთრების უფლების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის, ასევე მითითებულ ფართებში უნებართვოდ შეჭრილი იმ პირების საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკითხი, რომლებიც ხანგრძლივად ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული ფართებით და ეს ფაქტი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას იმ პირებს, ვინც შესაბამის თანხმობას განაცხადებს მუნიციპალიტეტის შეთავაზებაზე, საკუთრებაში გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა ფართი, გადაწყვეტილებებით განსაზღვრული წითელი აგურების კორპუსებში მდებარე ბინების სანაცვლოდ და იმ პირობით, რომ ისინი უარს იტყვიან აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით სხვა ნებისმიერ შესაძლო მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. აღნიშნული პირების დაკმაყოფილების შემდგომ, შესაძლებელი გახდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხილულ იქნას საკითხი წითელი აგურების კორპუსებში, თვითნებურად შესახლებული პირებისთვის, მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების, კანონით დადგენილი ფორმით საკუთრებაში გადაცემაც.

3. **მოისმინეს:**

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა წარმოადგინა **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

„საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელი მოეწერა შეთანხმებებს, რომელიც გულისხმობს 50 მილიონ 600 ათასი ევროს ოდენობით სესხის გამოყოფას, ამასთან, 5 მლნ ევრო არის გამოყოფილი გრანტის სახით EBRD-ის მწვანე კლიმატური ფონდის მიერ.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ხელი მოეწერება „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას" რომელიც განსაზღვრავს ხსენებული პროექტის განხორციელებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელ პირობებს. თბილისის მუნიციპალიტეტი სასესხო და საგრანტო შეთანხმებებით

გათვალისწინებულ თანხებს მიიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო და გრანტის ხელშეკრულებების საფუძველზე.

პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია: მეტროსადგური „სარაჯიშვილი", „წერეთელი", „გურამიშვილი", „ისანი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი", „სადგურის მოედანი 1", „სადგურის მოედანი 2", „ღრმაღელე", „მარჯანიშვილი", „ნაძალადევი" და „300 არაგველი". სრული რეაბილიტაცია გულისხმობს ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების პანელების შეცვლას, მგზავრთა ინფორმაციის შეტყობინების სისტემის განახლებას, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაც იცვლება, სადგურებზე უწყვეტი კვების რეჟიმიც შეიცვლება, ესკალატორებიდან ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით განხორციელდება სპეციალური პროექტი.

მოხდება სადგურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათ შორის რამდენიმე მიწისქვეშა სადგურის შესასვლელში, კერძოდ: „გურამიშვილი", „სარაჯიშვილი", სადგურის მოედანი 3" , „სადგურის მოედანი 2" და „წერეთელი", დამონტაჟდება დახრილი ლიფტები. გარდა ამისა, შეიცვლება სადრენაჟო სისტემა, მოხდება ტექნიკური ხელსაწყოების შეძენა.

ამ ეტაპზე EBRD-ის მიერ სპეციალური ექსპერტი-კონსულტანტების შერჩევა მოხდება, რომლებიც დაიწყებენ პროექტის კონცეპტუალურ დიზაინს. როგორც კი მორჩებიან კონცეპტუალური დიზაინის შედგენას, დაგვეხმარებიან ტენდერების გამოცხადებაში, რაც გულისხმობს ახალი პროექტების და სამშენებლო სამუშაოების ტენდერებს"

4. მოისმინეს:

ლევან ჟორჟოლიანმა წარმოადგინა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის 39^1 მუხლი არეგულირებს ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესს ინვესტორების ჩართულობით.

აღნიშნულ წესში 2022 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით, 39^1 მუხლს დაემატა 13^1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური გაანგარიშების მიზნებისათვის მოხდა რამდენიმე მაჩვენებლების პირდაპირ განსაზღვრა, მათ შორის, ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში სარეალიზაციო ფართის ღირებულებასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრა, რომ ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში სარეალიზაციო ფართის ღირებულება <u>არ უნდა აღემატებოდეს</u> შესაბამისი საექსპერტო დასკვნით გათვალისწინებულ ოდენობას. უნდა აღინიშნოს,

რომ ავარიული სახლის ჩანაცვლებისას, ეკონომიკური გაანგარიშების პროცესში მნიშვნელოვანია სარეალიზაციო ფართის ღირებულების დაზუსტებისას მუნიციპალიტეტი არ იყოს შეზღუდული ექსპერტის მიერ დადგენილი ფასით. ანუ, თუ ექსპერტი დაადგენს სარეალიზაციო ფართის ღირებულებას გარკვეული ოდენობით, მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მის მიერ მოძიებულ სხვა საექსპერტო შეფასებებზე ან ზოგადად სხვა სტატისტიკურ მონაცემებზე/ინფორმაციაზე დაყრდნობით ეკონომიკურ მაჩვენებლებში გაითვალისწინოს უფრო მაღალი სარეალიზაციო ფართის ღირებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე პროექტით ზუსტდება ცვლილებებით, 39[1] მუხლის 13[1] პუნქტის „დ" ქვეპუნქტი და ყალიბდება შემდეგნაირად: „დ) ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში სარეალიზაციო ფართის ღირებულება არ უნდა იყოს შესაბამისი საექსპერტო დასკვნით გათვალისწინებულ ოდენობაზე ნაკლები;".

5. მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა რაიონში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით ჩანაცვლებისათვის საჭირო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის განხორციელების ეტაპზე გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომელთა მიხედვით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში" (შემდგომში - წესი) ცვლილებათა შეტანის გარეშე, ფერხდება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის დაგეგმილი სახით განხორციელება.

წარმოდგენილი პროექტით წესის მე-5 მუხლს ემატება მე-2 და მე-3 პუნქტები, რომელთა თანახმად, დაინტერესებულ პირთა ნაწილობრივი თანხმობის პირობებშიც იქნება შესაძლებელი ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, პროექტის განმახორციელებელს ეძლევა საშუალება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით, მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები შემდგომში სხვადასხვა ავარიული საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება განიცადა წესის მე-8 მუხლის პირველმა პუნქტმა, სადაც აღინიშნა ავარიული საცხოვრებელი სახლის სხვა ტერიტორიაზე ჩანაცვლების შესაძლებლობის შესახებ.

წესის მე-8 მუხლში მე-7 პუნქტის დამატებით, დადგინდა უკვე დემონტირებულ ან/და დანგრეულ ავარიულ შენობა-ნაგებობაში დაინტერესებულ პირთათვის გადასაცემი ფართების განსაზღვრის კრიტერიუმები.

ამავდროულად, პროგრამის მიმდინარეობამ აშკარა გახადა კომერციული ფართების კომპენსირების აუცილებლობა, რის გამოც, შეიცვალა წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი.

იმ ფართებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც ხდება საცხოვრებელი დანიშნულებით, დაინტერესებულ პირთა ბინის ქირის კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხებს აწესრიგებს „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი. წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული ახალი რედაქცია აწესებს გამონაკლისს ქვეპროგრამის განხორციელების პროცედურიდან. კერძოდ, ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლებისას დაინტერესებული პირის ან მისი ოჯახის წევრის სხვა საცხოვრებლად ვარგისი უძრავი ქონებისა და დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობისთვის ქირის გადახდის საშუალების არსებობის საკითხი, ისევე როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მისამართის არარსებობა აღარ იქნება განხილული კომპენსაციის გაცემის დამაბრკოლებელ გარემოებად.

ზოგადად, „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი ბინის ქირის კომპენსაციის გაცემას ალტერნატიული ფართის ქირავნობის ხელშეკრულების წარდგენას უკავშირებს, თუმცა, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, წესში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობებს უფლება ეძლევათ ასეთი ხელშეკრულების წარდგენის გარეშე, ყოველთვიური ბინის ქირის კომპენსაციის სახით ყოველთვიურად გასცენ ფულადი თანხა 500 ლარის ოდენობით. ხოლო, კომერციული ფართების კომპენსირებას, ამავე ოდენობით, უზრუნველყოფს პროექტის განმახორციელებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“ (ს/ნ 404384974), წესის მე-10 მუხლს დამატებული მე-6 პუნქტის შესაბამისად.

6. მოისმინეს:

სხდომაზე განხილული იქნა, აგრეთვე, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გმ გრუპის“ (ს/ნ 406305252) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე. ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N16 (ს/კ: N01.10.06.001.234) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ი.ბ.ა. „დიდგორი 2006“-ის (ს/ნ 205137449) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ვილასეტის“ (ს/ნ 200258577) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე . შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „მოლი პლიუსის“ (ს/ნ 406284248) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე . შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „აშფორდ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405384463) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტის“ (ს/ნ 404438649) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე . შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს შპს „სანამის“ (ს/ნ 402191150) მიმართ მისამართზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. 6 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.005, ფართობი 588 კვ.მ); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. 25- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.002, ფართობი - 843 კვ.მ); 3. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N35/52- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: N01.13.06.015.014; ფართობი 2814 კვ.მ) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში ზემოაღნიშნულ კომპანიებს გაეწიოთ საშეღავათო ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს ფულად საშეღავათო დახმარებას, მშენებლობის განაშენიანების კოეფიციენტის ინდივიდუალურ მატებას,

ავტო სადგომებზე ავტომობილების რაოდენობის შენარჩუნებას და არა გაზრდას და სხვადასხვა სახის საშეღავათო ღონისძიებას.

სხდომა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.
კითხვები დასვეს: ბ.ჯიმელი სულაშვილი, ნ.რუხაძე, ა.ხუჯაძე
მოწვეულმა სტუმრებმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ საკითხები შეაფასა დადებითად (თავი შეიკავა ბ.ჯიმელი სულაშვილი) და მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე

ბიზნესის მხარდაჭერა

- 2022 წლის ივნისში და დეკემბერში, მომსახურების შესყიდვის გზით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურმა, შპს „სთოლთან“ თანამშრომლობით განახორციელა კვების ფესტივალი - „დააგემოვნე თბილისი“. 2022 წლის განმავლობაში ღონისძიება ჩატარდა 10 დღე. ღონისძიებაში ყოველდღიურად მონაწილეობდა 45 მეწარმე (მათ შორის: 23 კვება,7 სასმელების მწარმოებელი კომპანია, 15 ხელნაკეთი ნივთების მწარმოებელი კომპანია).

- 2022 წლის 1-2 ნოემბერს გაიმართა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-12 ფორუმი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული უცხოელი ექსპერტები. ფორუმის ფარგლებში მოხდა პოსტ-პანდემიური ეკონომიკური გამოწვევების განხილვა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობა.

- 2022 წლის 23 დეკემბრიდან 2023 წლის 13 იანვრის ჩათვლით, გაიმართა საშობაო ბაზარი ორბელიანის მოედნის ტერიტორიაზე. გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში, ეკონომიკური განვითარების სამსახურმა პირდაპირი შესყიდვის გზით ითანამშრომლა შპს „სთოლთან“, რომელმაც განახორციელა ღონისძიების ორგანიზება ათონელის ქუჩაზე. მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 300 200 ლარი.

ტურიზმის განვითარება

- ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის ჩატარდა თემატური სემინარები - გადამზადდა 200 -მდე გიდი და ტურიზმის სფეროში მოღვაწე პერსონალი.
- დაიბეჭდა გზამკვლევი ვიზიტორთათვის „თბილისის გიდი“ – 1000 ც.
- უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის ფარგლებში დახმარება გაეწია 5200 მდე უკრაინელ დევნილს სასტუმროებში განთავსებისა და კვებით უზრუნველყოფის კუთხით მარტიდან აგვისტომდე, პროექტის ფარგლებში დაიხარჯა 14 600064 ლარი.
- განხორციელდა დასკვნითი სემინარი სახელწოდებით ,,თბილისი მულტი-კულტურიზმის ჰაბი“
- განხორციელდა თბილისის პრომოუშენი საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე მადრიდში, ლონდონსა და თელავივში.

ანალიტიკური

- თბილისისთვის „ჭკვიანი მდგრადი ქალაქების პროფილის“ შექმნა.
- თბილისის შესახებ სტატისტიკის მოძიება სხვადასხვა სტრუქტურიდან KPI ინდიკატორებისთვის.
- მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან ინფორმაციის რეგულარულად მიღების მონიტორინგი, დაარქივება და თანამშრომელთათვის გაზიარება
- პროექტ "საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი"- ს ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კითხვარის შევსება. (თბილისმა მიიღო I ადგილის დამადასტურებელი სერთიფიკატი)

ინვესტიციების მოზიდვა და ხელშეწყობა

- 2022 წელს განახლდა საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის კვლევა საინვესტიციო პროექტების განხილვის პროცესში სახელმძღვანელოდ.
- დაუმთავრებელი მშენებლობების დასაფინანსებელი ე.წ. ირიბი კომპენსაციის 72 დადებითად გადაწყვეტილი განაცხადის განხილვასა და ოქმის შემუშავებაში მონაწილეობა.
- კომისიის ფარგლებში მოხდა 20 ზე მეტი საინვესტიციო წინადადების დამუშავება/განხილვა.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 4 განკარგულებით ცენტრ პოინტის 37 დაზარალებულზე გაიცა 770 372 $ კომპენსაცია.
- ანაზღაურდა ან/და შემცირდა გარანტია შპს მეტტა-ს მიერ შესრულებულ 10 577 322.48 ლარის ღირებულების ლაბორატორიის მიერ 59 ერთეული ფორმა N2-ით დადასტურებული სამუშაოები.
- დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებების განსახორციელებლად სამსახურის ინიცირებით გამოიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 49 განკარგულება.
- ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების პროცესში 5 განაცხადის განხილვა.